დამტკიცებულია შპს სკოლა-ლიცეუმი
ცისაკარის დირექტორის
2024 წლის 19 ივლისის N798 ბრძანებით

მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი

შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარი

შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარის

მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი დაარეგულირებს სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესს.
2. სკოლაში ახლადჩარიცხული მოსწავლის ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვანია წინასწარ განსაზღვრული მექანიზმები, რაზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორის მოადგილე.
3. დირექტორის მოადგილე ახლად ჩარიცხული მოსწავლის ადაპტაციის მიზნით მოქმედებს წინამდებარე დოკუმენტის შესაბამისად.

მუხლი 2. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის წესის მიზანი

შპს სკოლა-ლიცეუმი ცისაკარის სკოლის მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესის მიზანია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა.

მუხლი 3. ძირითადი პრინციპები

1. სასკოლო საზოგადოება ვალდებულია განახორციელოს ისეთი აქტივობები, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ახალ სასწავლო გარემოში ადაპტაციას, თავის დამკვიდრებას, სრულფასოვან ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.
2. ამისათვის სკოლა სწავლობს და ითვალისწინებს მოსწვალის იდივიდუალურ თავისებურებებს, ოჯახურ და სოციალურ მდგომაროებას, მოსწვალის ფსიქოტიპს და ემოციურ მდგომაროებას.
3. მოსწავლის მხარდაჭერის საჭიროება სასკოლო გარემოსთან ადაპტაციისათვის გათვალისწინებულია:
   3.1. პირველი კლასის მოსწავლეებისათვის;
   3.2. ნებისმიერი ახლადჩარიცხული მოსწავლისათვის (მობილობით, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებით).

მუხლი 3. პირველ კლასში მოსწვალის ჩარიცხვის შემდეგ განსახორციელებელი აქტივობები:

3.1. მშობლებთან დირექციის და კლასის დამრიგებლების შეხვედრა სასწავლო წლის დასაწყისში და სასკოლო გარემოს და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა.
3.2. კლასის დამრიგებლის გასაუბრება მშობელსა და მოსწავლესთან;
3.3. საინფორმაციო კითხვარის შევსება მშობლის მიერ, მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დასადგენად;
3.4. სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული სადღესასწაულო აქტივობები მოსწავლეთა ჩართულობით;
3.5. მოსწავლეებისათვის შიდა სასკოლო ექსკურსია და ინფრასქტრუქტურის გაცნობა; (კლასის დამრიგებელი, დირექციის წარმომადგენელი, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი)
3.6. მშობელთათვის სასკოლო კულტურის/ტრადიციების გაცნობა (კლასის დამრიგებელი, დირექციის წარმომადგენელი);

3.7. მშობელთათვის სასკოლო რეგულაციების გაცნობა (კლასის დამრიგებელი, დირექციის წარმომადგენელი);
3.8. პირველ კლასში პირველი სემესტრის განმავლობაში კლასის დამრიგებლის მშობლებთან კვირაში მინიმუმ ერთი შეხვედრა;
3.9. მოსწავლეებისათვის სათანადო ემოციური მზაობის შექმნა სასწავლო აქტივობების დასაწყებად (კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები).

მუხლი 4. ნებისმიერ კლასში ახლადგადმოსული მოსწვალის ჩარიცხვის შემდეგ განსახორციელებელი აქტივობები:

4.1. სკოლის დირექციის წარმომადგენელი შეხვედრა მოსწავლესთან და მის მშობელთან;
4.2. მშობლებთან დირექციის წარმომადგენლისა და კლასის დამრიგებლების შეხვედრა სასკოლო გარემოს და სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა.
4.3. კლასის დამრიგებლის გასაუბრება მშობელსა და მოსწავლესთან;
4.4. მშობელისა და მოსწავლისათვის სასკოლო რეგულაციების გაცნობა (კლასის დამრიგებელი, დირექციის წარმომადგენელი);
4.5. საინფორმაციო კითხვარის შევსება მშობლის, მოსწავლის (საბაზო და საშუალო საფეხურზე) მიერ, ინდივიდუალური საჭიროებების დასადგენად (კლასის დამრიგებელი, დირექციის წარმომადგენელი);
4.6. კლასის დამრიგებლის მიერ მოსწავლის წარდგენა კლასში, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გაცნობითი აქტივობების გამოყენებით;
4.7. მოსწავლეებისათვის შიდა სასკოლო ექსკურსია და ინფრასქტრუქტურის გაცნობა; (კლასის დამრიგებელი, მოსწავლე);
4.8. მშობლის წარდგენა მშობელთა კრებაზე (კლასის დამრიგებელი);
4.9. მოსწავლისათვის სათანადო ემოციური მზაობის შექმნა სასწავლო აქტივობებში ჩასართავად (კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები).

მუხლი 5. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესის მიღება და მასში ცვლილების შეტანა

1. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესს ამტკიცებს დირექტორი ბრძანებით.
2. მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესის მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.